ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ
სსიპ ვაჟა-ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი თონეთის საჯარო სკოლის

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ნინო შიუკაშვილი
წევრ(ებ)ი:
ლელა ეუაშვილი

ნაწილი I. შესავალი

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**სსიპ ვაჟა-ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი თონეთის საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**სსიპ**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**230867087**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდი თონეთი**
ფაქტობრივი მისამართი	**სოფელი დიდი თონეთი**
საფოსტო ინდექსი	**2306**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**adminSchool Web Portal**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**DidiToneti@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	**591058626**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	**2025 წლის 3 ნოემბერს N MES 0 25 0001507942 ბრძანება**
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	**27-28 ნოემბერი**

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 3 ნოემბერის N MES 0 25 0001507942 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრთა ვიზიტი სსიპ ვაჟა-ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი თონეთის საჯარო სკოლაში.
ვიზიტის მიზანი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის მიერ 2023 წლის 11 ნოემბერის გადაწყვეტილების შესაბამისი ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება.
სკოლის ექსპერტებს კეთილგანწყობილი და თანამშრომლობითი გარემო დაგვხვდა. ორი სავიზიტო დღის განმავლობაში ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია , ადგილზე დათვალიერებით შესაწავლილი იქნდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, E-school- E- flow პლატფორმები.
ვიზიტის პერიოდში შედგა სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრა. ინტერვუიების საფუძველზე შესწავლილი იქნა სკოლაში მიმდინარე პროცესები.
ვიზიტის დასრულებისას ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს ინფორმაცია მიაწოდეს იმ მიგნებების შესახებ, რომლების ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
240	**33**

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1	☒ შეესაბამება

პერსონალის მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		
ინდიკატორი N3.4.1.1	***1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების***	*ხარვეზი :* *სკოლის შენობის ერთი ფლიგელი დაზიანებულია. კერძოდ, საფრთხის შემცვალია შენობის პირველ სართულზე განთავსებული სპორტული დარბაზი. დაბზარულია კედლები და ჭერი, აყრილია იატაკი . შენობა-ნაგებობაში სასწავლო პროცესის საფრთხის შემცველობა დასტურდება ლ.სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის მიერ გაცემული დასკვნითაც.* *ასევე, სკოლას არ აქვს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დაკვნა.*

	შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N3.5.1.7	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;*	*ხარვეზი* *სკოლას არ აქვს შენობაში შესასვლელი და შიდასივრცეებში გადასაადგილებელი პანდუსები, არ არის ადაპტირებული ეტლით მოსარგებლე პირებისთვის. სკოლას არ აქვს რესურსოთახი, ვერ უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისთვის შესაბამისი სერვისის მიწოდებას.*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერ**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N 3.5.1.6	*სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.*	*სკოლამ შექმნას წიგნების ელექტრონული კატალოგი და უზრუნველყოს არსებული წიგნადი ფონდის სრულად აღრიცხვა.*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.2.1.4.	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია*	*სასურველია , დოკუმენტში, რიგ შემთხვევებში, დაკონკრეტებული იქნეს აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები (მაგ.: ადამიანური ან/და მატერიალური ან/და ფინანსური)*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერ	*რჩევა*
ინდიკატორი N 3.2.1.4	*სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან*	*სასურველია, სრულყოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი , შესაბამისი მუხლებით გაწეროს თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები, აქტივობები, წარმატებული ადაპტაციის ნიშნები.*
ინდიკატორი N 3.2.1.5	*წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები*	*სასურველია,*

		სკოლამ შეიმუშაოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით ინიციატივით მიმართვის ფორმები და აქტივობები ასახული იქნეს შესაბამის დოკუმენტში.
ინდიკატორი N 3.3.2.2	*უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა*	***სასურველია,*** *კვლევის ჩატარებისას მკაფიოდ განსაზღვროს კვლევ /გამოკითხვის მიზანი , მიღებული შედეგების ანალიზი დ დასკვნა წარმოადგინოს დოკუმენტის სახით.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N4.2.1.5	*სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას*	***სასურველია*** *,* *სკოლას მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი ჰქონდეს, თუ როგორ, რა მექანიზმებით უზრუნველყოფს სკოლა დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებას და მოსწავლეთა იტერესების მხარდაჭერას. მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა იცოდნენ, თუ როგორ, როდის და ვის უნდა მიმართონ საკუთარი ინიციატივების მხარდასაჭერად.*
ინდიკატორი N4.2.2	*კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის*	***სასურველია,*** *მარეგულირებელ დოკუმენტში უფრო დეტალურად გაწეროს (აქტივობები და მექანიზმები, რომლებითაც უზრუნველყოფ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციი*

		მომსახურებას. სასურველია დაიგეგმოს უფრო მრავალფეროვან აქტივობები ამ მიმართულებით (მაგ: თემში ცნობილ სხვადასხვ დარგის სპეციალისტებთან შეხვედრა და.ა.შ)
ინდიკატორი N 4.2.2.3	*სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს*	***სასურველია,*** *სკოლამ ჩაატაროს გამოკითხვა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით ,რომლის შედეგების ანალიზიც უზრუნველყოფს უფრო ხარისხიანი პროფესიული ორიენტაციის მომსახურების განხორციელებას.*
ინდიკატორი N....		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*	
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგე სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარება	შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაში სკოლამ უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმების შემუშავება და შეთანხმება შესაბამი ბ უწყებასთან/უფლებამოსილ ორგანისთან შენობა-ნაგებობების მდგრადობის დასკვნის მოპოვება	ნაწილობრივ შესრულდა
ინდიკატორი N 3.4.1.7.	*სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.*	შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაში სკოლამ განახორციელოს *ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასება და შეფასების შედეგები გამოიყენოს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.*	შესრულდა
ინდიკატორი N3.5.1.3	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;*	*შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაში სკოლა უზრუნველყოს სწავლის ინკლუზიურ გარემოს შექმნა*	*არ შესრულებულა*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ვაჟა-ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი თონეთის საჯარო სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სკოლის მისიასა და ხედვას .აღნიშნულ დოკუმენტში გათვალისწინებულია ექსპერტთა დასკვნაში გაწერილი რჩევა. სკოლის მისიაა დაამკვიდროს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, გაითვალისწინოს მოწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობა და მისწრაფება, ხელი შეუწყოს მის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას.განუვითაროს კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ჩაუნერგოს ოჯახის, საზოგადოების და სახელმწიფოს მიმართ პატივისცემა. ეს კი შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს .

ინტერვიუებში დაფიქსირდა ,რომ პედაგოგები და სკოლის ადმინისტრაცია აცნობიერებენ სკოლის მისიის შინაარსს და ხედავენ მის კავშირს ეროვნულ მიზნებთან, რაც მიუთითებს მისიის ცოცხალ გამოყენებაზე სასკოლო პრაქტიკაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სსიპ ვაჟა-ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი თონეთის საჯარო სკოლის მისიაა აღზარდოს მოაზროვნე, შემოქმედი ადამიანი რომელიც შეძლებს ინფორმაციის მოპოვებას დამუშავებას და ანალიზს.

სკოლის ხედვა ეფუძნება პრინციპს, რომ იგი იყოს მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული, თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად, ზრუნავდეს თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე. რომელიც 2030 წლისთვის მოთხოვნადი კადრი იქნება შრომის ბაზარზე. წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. ფორმალური და არაფორმალური განათლების წარმატებულად ინტეგრაციის ხარჯზე.

ინტერვიუების მიხედვით, პედაგოგები და მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია კეთილგანწყობილი, თანამშრომლობითი ატმოსფერო. დირექტორთან კომუნიკაცია ღია და ხელმისაწვდომია, რაც ამყარებს უსაფრთხოების განცდას. მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინიციატივები ფასდება, რაც მოწმობს, რომ სკოლა აღიქმება არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ კულტურულ სივრცედაც. სასკოლო გარემო უზრუნველყოფს თანასწორობის, სამართლიანობისა და კეთილდღეობის პრინციპების რეალიზაციას, რაც სრულად შეესაბამება სკოლის ხედვის შინაარსს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია დეტალურად ასახავს იმ პროცესს, რომლის ფარგლებშიც მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმირება განხორციელდა სასკოლო საზოგადოების :მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობით .ეს დადასტურდა როგორც დოკუმენტური, ისე ზეპირი მტკიცებულებებით,პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს იმაზე ,რომ აღნიშნული საკითხი განხილული იყო სხვადასხვა დონეზე, მათ შორის კათედრებზე, სამუშაო ჯგუფის წევრებმა წარმოადგინეს კითხვარები ,რითაც დასტურდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება , შედეგად კი მიღებულ იქნა ერთობლივი ფორმულირება.

აღნიშნული მიდგომა იძლევა საფუძველს დასკვნისთვის, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები რეალურად წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების საერთო ხედვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის ფილოსოფიის პროექტი შეიმუშავებულ იქნა დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის მიერ. პროექტის შემუშავებას წინ უძღვოდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა კითხვარების საშუალებით, უკუკავშირის მიღების მიზნით, განიხილეს პედაგოგიურ საბჭოზეც.საბოლოო სახით დამტკიცებული დოკუმენტის გასაზიარებლად კი სკოლამ გამოიყენა სხვადასხვა პლატფორმა: სკოლის ვებ-გვერდი, სოციალური ქსელის დახურული ჯგუფები, ასევე გამოკრული იქნა სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

   სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის ფოიეში, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე სკოლის თანამშრომლები, მშობლები და მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან ამ რესურსების შესახებ, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და საზოგადოებისთვის ღიაობას. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია როგორც ფიზიკური, ისე ციფრული არხებით, რაც სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის მოთხოვნებთან.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის №448 ბრძანების შესაბამისად, სკოლის სახელწოდებაა „სსიპ ვაჟა-ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი თონეთის საჯარო სკოლა“ სკოლას ვაჟა-ფშაველას სახელი მიენიჭა 2020 წლის 25 მარტს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N46/ნ-ის საფუძველზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- მშობლებისა და სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება 46/ნ 25.03.2020
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობისთვის კითხვარი

- სკოლის ვებ-გვერდი
- ინტერვიუ მასწავლებლებთან/მოსწავლეებთან/ მშობლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ ვაჟა-ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი თონეთის საჯარო სკოლას ჩამოყალიბებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს დაგეგმვის ეტაპებს, პასუხისმგებლობებსა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმებს. მეთოდოლოგია აღწერს, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას პროცესში ჩართულია სკოლის დირექტორი, სკოლის დირექტორის მიერ ამ წესის მე-7 თავის შესაბამისად შექმნილი სამუშაო ჯგუფი ,კათედრები, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეები და მშობლები. საშუალებად გამოიყენება

საკვლევი კითხვარები, განხილვები, პედაგოგიური საბჭოს სხდომები და თემატური სამუშაო შეხვედრები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პრიორიტეტების დადგენას სასკოლო საზოგადოების საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით. სკოლამ წარმოადგინა „სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ჯგუფის შიდა მონიტორინგის სხდომის ოქმი“, რაც ადასტურებს, რომ დაგეგმვის პროცესი არ არის ფორმალური - მიმდინარეობს მუდმივი გააზრება და თვითკორექტირება. დაგეგმვისას გათვალისწინებულია როგორც საგანმანათლებლო საჭიროებები, ისე გარემო ფაქტორები (ინფრასტრუქტურა,რესურსები, მოსწავლეთა დინამიკა), რაც ქმნის საფუძველს მიზნობრივი და რეალისტური დაგეგმვისთვის.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა **2023–2030** წლებისთვის ასახავს გრძელვადიან ხედვას, რომელიც ეფუძნება სკოლის ფილოსოფიასა და ღირებულებებს. დოკუმენტი სტრუქტურირებულია შვიდწლიანი ციკლის პრინციპით და მოიცავს მისიის შესაბამის მიზნებს, ამოცანებსა და შედეგებს. სტრატეგიული მიზნები დაკავშირებულია როგორც საგანმანათლებლო ხარისხის გაუმჯობესებასთან, ისე სასკოლო კულტურის განვითარებასთან, პედაგოგთა პროფესიული ზრდისა და მოსწავლეთა კეთილდღეობის ხელშეწყობასთან. დოკუმენტი მოიცავს შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომას და განსაზღვრავს მონიტორინგის პერიოდულობას,კერძოდ: გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს.

ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ სტრატეგიული გეგმა აღიქმება არა როგორც ფორმალური დოკუმენტი, არამედ როგორც მართვის რეალური ინსტრუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის განვითარებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება როგორც სტრატეგიულ გეგმას ,ისე წლიური თვითშეფასების შედეგებს. წარმოდგენილი დოკუმენტი თანხვედრაშია სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებთან . იგი აჩვენებს მკაფიო კავშირს სტრატეგიულ მიზნებსა და პრაქტიკულ აქტივობებს შორის. გეგმის სტრუქტურა მოიცავს სტრატეგიული მიზნის შესაბამის ქვეპუნქტებს, რაც იძლევა შესაძლებლობას, რომ ყოველწლიურად შეფასდეს პროგრესი და საჭიროებისამებრ განხორციელდეს კორექტირება. ადმინისტრაციასთან და სამუშაო ჯგუფის წევრებთან გასაუბრებისასა დადასტურდა, რომ თვითშეფასების შედეგები და წინა წლის გამოცდილება გათვალისწინებულია ახალი გეგმის ფორმირებისას, გეგმის შემუშავება და შესრულება აღიქმება როგორც თანამშრომლური პროცესი, სადაც ჩართულნი არიან პედაგოგიური საბჭო და სამუშაო ჯგუფები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

ვიზიტის დროისათვის წარმოადგენილ 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში , აქტივობები გაწერილია არსებული შვიდწლიანი სტარატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია კონკრეტული მიზნები და ამოცანები შესრულების გაზომვადი იდიკატორებით, მითითებულია თითოეული აქტივობის განმახორციელებელი პასუხისმგებელი პირი/პირები/სტრუქტურული ერთეულები. ასევე, მითითებულია აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო რესურსები და განსაზღვრულია შესრულების ვადები.თუმცა აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო რესურსებში მითითებულია ,,არსებული რესურსები'' და არ არის მკაფიოდ განსაზღვრული თუ რას მოიაზრებს სკოლა არსებულ რესურსებში. სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი აქტივობების შესრულება რეალისტურია.

სკოლას მიეცა რჩევა, *სასურველია ,*
დოკუმენტში რიგ შემთხვევებში დაკონკრეტებული იქნეს აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები (მაგ.: ადამიანური ან/და მატერიალური ან/და ფინანსური)

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.
- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა 2023-2030წწ
- 2025-2026 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ;
- 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში
- ინტერვიუები დირექტორთან, პედაგოგებთან და სამუშაო ჯგუფის წევრებთან
- პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოს შეხვედრების ჩანაწერები

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილ მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის განახორციელების წესი. კერძოდ, სკოლაში იქმნება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც საკუთარი სამოქმედო გეგმის საფუძველზე განახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს და შეფასებისთვის საჭირო საქმიანობას.დოკუმენტი აღწერს მონიტორინგის ჯგუფის სამოქმედო გეგმასა და ჯგუფის ფუნქციებს. სამოქმედო გეგმის

მონიტორინგის ფარგლებში სკოლა ახორციელებს მონაცემების შეგროვებას. შეფასების შემდგომ კი ხორციელდება შეგროვებული მონაცემების გაანალიზება და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრა. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგს და შეფასებას წელიწადში ორჯერ იანვარსა და ივნისში საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც.სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

ინტერვიუების, შიდა სხდომების ოქმებისა და ანგარიშგების ანალიზით დასტურდება, რომ სკოლაში მონიტორინგის პროცესი მოქმედებს პრაქტიკაში და არ არის ფორმალური. 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განახორციელა სამუშაო ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაშიც არიან დირექციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მოსწავლე და მშობელი. აღნიშნული პროცესი განხორციელდა მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად. შედეგების განხილვა მოხდა სამუშაო ფორმატებში, ხოლო მიღებული დასკვნები გამოიყენეს გეგმების კორექტირებისთვის. ინტერვიუებისას დირექტორმა და პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მონიტორინგისას მიღებული მონაცემები და ანალიზი გამოიყენება როგორც შიდა უკუკავშირის, ისე განვითარების დაგეგმვისთვის.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სამოქმედო გეგმის სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები ანგარიშის სახით გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე, რითაც უზრუნველყოფილია მისი საჯაროობა. ხოლო შიდა ფორმატში განიხილება პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე.ანგარიშები ხელმისაწვდომია მშობლებისა და მოსწავლეებისათვის, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. ინფორმაციის გახსნილობა კი აძლიერებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და ზრდის ნდობას სკოლის მართვის პროცესისადმი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა სისტემურად იყენებს შესრულების შედეგების ანალიზს შემდგომი წლის დაგეგმვისას. სკოლის ყოველწლიური პრაქტიკაა დირექტორის ანგარიშის, კათედრის სხდომებზე გაანალიზებული საკითხების,მშობელთა კრების ოქმებიდან მიღებული უკუკავშირებისა თუ სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებში გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინება.წინა წლის ანგარიშის ანალიზი წარმოადგენს შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის საფუძველს, რაც უზრუნველყოფს განვითარების პროცესის უწყვეტობას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.
- 2024-2025 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- 2024-2025 ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის დოკუმენტი
- სკოლის ვებ-გვერდი.
- ინტერვიუები დირექტორთან, პედაგოგებთან და სამუშაო ჯგუფის წევრებთან.
- პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოს შეხვედრების ჩანაწერები;
- სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის კითხვარები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული ორგანიზაციის სტრუქტურა, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურასთან, ასევე სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი , დასაქმებულ პირთა ფუნქციები, შინაგანაწესი და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია სკოლაში დასაქმებული პირების სამუშაო აღწერილობები, რომლებიც ასახულია სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებებში (მუხლი3, ქვემუხლი 3.3.) და შესაბამება ერთმანეთს. სკოლის მიერ წარმოდეგნილი დოკუმენტების შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტუტული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

1. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ფუნქციების დოკუმენტი , რომელიც განსაზღვრავს სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებს და საკვალიფიკაციო

მოთხოვნებს, ინტერვიუს დროს ნათლად გამოიკვეთა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და კონკრეტულ პირებს შორის გადანაწილებულია პასუხისმგებლობები და მათ აქვთ ჯანსაღი თანამშრომლობითი ურთიერთობა. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა 2024 -2025 წლებში დასქმებული თანამშრომლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც თანხვედრაში იყო დაწესებულების მიერ შემუშავებულ და დადგენილ მოტხოვნებთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სტრუქტურის ორგანოგრამა
- საშტატო განრიგი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა'' , დოკუმენტში მკაფიოდაა გაწერილი ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანები: სკოლის ადამიანური რესურსების მართვა; სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად დასაქმებულთა მუდმივი განვითარება, კვალიფიციური და შესაბამისი კადრების მომზადება/ შენარჩუნება. მაღალკვალიფიციუროი კადრების მოზიდვა/ შერჩევის პროცესის ორგანიზმება და მართვა, სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლის ადაპტაცია; წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და სხვ.

დოკუმენტი ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის, 21 ნოემბრის № 1014 ბრძანების, ასევე „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის ,23მაისის, N241 დადგენილებისა და სხვა სამართლებრივი აქტებს,
ვიზიტის ფარგლებში პერსონალთან ინტერვიუს შედეგებიდან გამომდინარე დადგინდა, რომ პროცესები მიმდინარეობს სკოლის მიერ დადგენილი პროცედურების მიხედვით.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესსა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არეგულირებს ვაკანსიის ან/და ახალი პოზიციის საჭიროების გაჩენის შემთხვევაში სკოლის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს. წინამდებარე წესის შესაბამისად, მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე ცხადდება კონკურსი, სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით თანამშრომლის სამუშაოზე მიღება შესაძლებელია კონკურსის საფუძველზეც. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და შინაგანაწესის (მუხლი 4) შესაბამისად, სკოლაში ძირითადი მასწავლებლისათვის დროებით შრომითი ურთიერთობის შეჩერების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისთვის, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია დროებით არმყოფი პირის ჩანაცვლების მიზნით, ვაკანტური ადგილი (საგნის ვაკანტური საათები) შეავსოს კონკურსის გამოცხადების გარეშე. გადაუდებელი საჭიროების გამო გაცდენის შემთხვევაში, დროებით არმყოფი მასწავლებლის ნაცვლად მიღებულ მასწავლებელთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება დროებით არმყოფი პირის ჩანაცვლების მიზნით, ძირითადი მასწავლებლის სამსახურში გამოცხადებამდე. გარდა ამისა, დოკუმენტში ასევე დეტალურადაა გაწერილი, თუ ვინ ასრულებს მოვალეობებს სკოლაში კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმებული პირის არყოფნის შემთხვევაში. აღნიშნული პროცესები წარმოადგენს რესურსების მართვის ინტერვენციულ და პრევენციულ პოლიტიკას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

ადამიანური რესურსების შერჩევის პროცედურა სკოლას გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში. სკოლა ვაკანსიებს აცხადებს დასაქმების პორტალზე teacherjobs.ge. სკოლის ადამიაური რესურსების მართვის პოლიტიკით გათვალისწინებულია კონკურსის ეტაპები, საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება. teacherjobs.ge-ს გვერდზე სკოლის მიერ გამოცხადებული ვაკანსიების შესწავლით დადგინდა, რომ ვაკანსიის გამოცხადებისას სკოლას აქვს განსაზღვრული საკონკურსო პირობები, სკოლის დოკუმენტში მითითებული საკონკურსო პირობებისა და კანონმდებლობის საფუძველზე, რომელსაც ადგენს სკოლის დირექტორი.

ვიზიტისას სკოლამ ვერ წარმოადგინა საკონკურსო კომისიის ოქმები, რომლითაც განხორციელდა სკოლაში მასწავლებლების შერჩევა. ასევე, ვერ წარმოადგინა კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანებები.

დაწესებულებამ გადმოაგზავნა დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში არგუმენტირებული პოზიციისთან თანდართული დოკუმენტაცია:

- **საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება (ბრძანება 2-31 , 12.09.2025წ.)**
- **ბრძანება ვაკანსიის გამოცხადების შესახებ (ბრძანება 2-26, 03.09.2025წ.)**
- **ოქმი №1 16. 09. 2025წ.**

ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა თანამშრომლების პირადი საქმეები. შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ მათში სრულყოფილად არის განთავსებული სკოლის მიერ გათვალისწინებული დოკუმენტაცია, კერძოდ, ნასამართლეობის ცნობები (ნასამართელობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ) , დიპლომი, ხელშეკრულებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის თანამშრომელთა ბაზის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია 26 თანამშრომელი, მათგან 19 დასაქმებულია მასწავლებლის პოზიციაზე, ხოლო დანარჩენი პირები ადმინისტრაციულ პოზიციებზე. სკოლას განსაზღვრული

აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეულ ადმინისტრაციულ პოზიციასთან მიმართებით,. ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

მასწავლებელთა ბაზის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია 18 უფროსი და 1 მაძიებელი მასწავლებელის სტატუსის მქონე პირი.

სკოლის დირექტორთან ინტერვიუირებისას აღინიშნა , რომ დაწყებითი კლასების პედაგოგები ასწავლიან ქართულს, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებას, ხოლო ფიზიკური აღზრდის, ხელოვნებისა და მე და საზოგადოების საათები გადანაწილებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და სტატუსის მქონე პედაგოგებზე.
საათობრივი ბადისა და პირადი საქმეების შესწავლით კი დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული საგნების საათები გადანაწილებულია პირებზე , რომლებიც დიპლომითა არიან დაწყებითებითი კლასების პედაგოგები .
მასწავლებლობის მაძიებელ პირს, ასევე შეთავსებული ჰქონდა საქმიამწარმოებლის ფუნქცია. როგორც დირექტორმა აღნიშნა , გამომდინარე იქიდან, რომ მაღალმთიან რეგიონში ჭირს კველიფიციური კადრის მოზიდვა , სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართისათვის, უწევს საათების ამგვარად გადანაწილება.
ვიზიტის პერიოდშივე დირექტორის მიერ წარმოდგენილი იქნა teacherjobs.ge-ს გვერდზე განთავსებული მე და საზოგადოებისა და ისტორიის პექდგოგი პოზიციაზე ვაკანსია და საკონკურსო პირობები.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით,

ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის მართვის ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობისა და გუნდურობის პრინციპს ეყრდნობა, სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათერდები. კათედრებს გააჩნიათ წლის დასაწყისში ერთობლივად შემუშავებული და დამტკიცებული სამოქმედო გეგმები. სკოლამ წარმოადგინა კათედრების ოქმები, რომლებიც შესწავლილი იქნა ექსპერტების მიერ.

სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული - პედაგოგიური საბჭო. სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

ხარისხის ჯგუფთან ინტერვიუირებისას ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლაში არის ჯანსაღი თანამშრომლობითი კულტურა. კათედრები ერთობლივად გეგმავენ პროექტებს, ასევე უზიარებენ გამოცდილებასა და ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა სასწავლო რესურსის შექმნასა თუ მოძიებაში. პედაგოგები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებძე და აძელვენ უკუკავშირს. დასტურად სკოლამ წარმოადგინა უკუკავშირის ფორმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების მექანიზმები კერძოდ, დღესასწაულებთან დაკავშირებით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის და სხვა საფუძვლით წახალისება. და შინაგანაწესში გაწერილი აქვს წახალისების ფორმები (მუხლი 10), როგორიცაა მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოება და სხვა. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ ხშირია სიტყვიერი წახალისება, თუმცა შეძლებისდაგვარად ცდილობენ თანამშრომლების ფასიანი საჩუქრებითა და ერთჯერადი ფულადი პრემიით წახალისებას . დასტურად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი ბრძანებები **(ბრძანება 1კ/18, ბრძანება 1კ/37)** .

ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება 1კ/18 ფასიანი საჩუქრის გადაცემის შესახებ;

- ბრძანება 1კ/37 ერთჯერადი ფულადი პრემიის გადაცემის შესახებ;
- სკოლის შინაგანაწესი;
- კათედრის ოქმები;
- უკუკავშირის ფორმა .
- თანამშრომელთა ხელშეკრულებები;
- პირადი საქმეები
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- თანამშრომელთა ბაზა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმებს და ეტაპებს. დოკუმენტის თანახმად, სკოლა პირველ ეტაპზე ახდენს პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებას, შემდგომ, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვას, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის რეგულარულ შეფასებას.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, სკოლა:

- ახორციელებს საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგს, სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის მიზნით;
- რეგულარულად ამოწმებს მასწავლებელთა პროფესიულ ცოდნასა და უნარებს;
- სასწავლო წლის განმავლობაში შერჩევითობის პრინციპით ესწრება გაკვეთილებს;

გარდა აღნიშნულისა, დოკუმენტის თანახმად, სკოლაში მოქმედებს პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები შემდეგი სახით:

- სკოლის თანამშრომლობით დაგეგმილი ტრენინგები/სემინარები/სამუშაო შეხვედრები;

სკოლა,როგორც პედაგოგიური,

ასევე, სკოლის სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები პრიორიტეტებში ითვალისწინებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას და შესაბამის აქტივობებს.

გარდა ამისა, სკოლაში დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის დებულება, რომლის თანახმადაც დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება).

ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის წევრებთან ინტერვიუდან დადგინდა, რომ თუკი შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გარკვეული ხარვეზებია, ან მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეულ საკითხზე ტრენინგის ჩატარებას ადგილობრივი რესურსით, ან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით, სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარებას და მათ პროფესიულ განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

პროფესიული საჭიროებების დადგენა და შემდგომი რეაგირების მექანიზმები გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, გარდა ამისა, სკოლას შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად და სტრატეგიულ მიზნად გამოტანილი აქვს - ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება. აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის კი, სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, მოაზრებული აქვს სხვადასხვა აქტივობები. კერძოდ, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დაგეგმვა, ტრენინგების შეთავაზება, ინფორმაციის მოძიება და გავრცელება, საგანმანათლებლო ღონისძიებებში მასწავლებელთა ჩართულობის ხელშეწყობა, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და სხვა.
წინამდებარე აქტივობების შესრულების ვადები კი განსაზღვრულია ძირითადად სექტემბრის/ოქტომბრის თვიდან.

დირექტორთან და მხარდაჭერის ჯგოფთან გასაუბრებისას დადგონდა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში, საჭიროებებიდან გამომდინარე, მასწავლებლების გადიან მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ ან დადგენილი წესის შესაბამისად აღიარებული ტრენინგკურსებს . დირექტორთან ან ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფთან ერთად განიხილავენ პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების შედეგებს, იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს.
ხარისხის ჯგუფმა წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის შედეგების დოკუმენტი. რისი ანალიზის საფუძველზეც , მათივე თქმით, დაიგეგმა მომდევნო სასწავლო წელში განსახორციელებელი აქტივობები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით ითვალისწინებს პერსონალის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილებას, ორგანიზაციული სტრუქტურით გათვალისწინებულ პოზიციებზე; იმისათვის, რომ სკოლაში ფუნქციები მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი დებულებაც. გარდა ამისა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის კარიერული ზრდის ხელშეწყობის მექანიზმები, კერძოდ, ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და სხვა. აღსანიშნავია, რომ სკოლის ჰყავს მაძიებელი მასწავლებელი, რომელიც იმავე სკოლის კურსდამთავრებულია . როგორც გასაუბრებისას აღნიშნა მას სკოლისგან აქვს დიდი მხარდაჭერა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის მხრივ. კოლეგები ძალიან ეხმარებიან გამოცდილების გაზიარებითა და გაკვეთილების ერთობლიბვად დაგეგმვით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის თანამშრომლებთან საუბრისას გამოიკვეთა , რომ სკოლა უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის წარმატებულ ადაპტაციას. ადაპტაციის მექანიზმებისა და უშუალოდ პროცესის შესახებ გვესაუბრა მაძიებელი მასწავლებელი. მან აღნიშნა , გამომდინარე იქიდან, რომ ამ სკოლის კულტურა მისთვის კარგად ნაცნობია , არ გასჭირვებია გარემოსთან შეგუება. უხერხულობას იწვევდა ყოფილ მასწავლებლებთან კოლეგის სტატუსით წარდგენა, თუმცა სწორედ ისინი მიეხმარნენ ბარიერის გადალახვაში . ექსპერტების მიერ სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესწავლისას დადგინდა, რომ მასში არ იყო გაწერილი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმები და ეტაპები.

სკოლას მიეცა რჩევა *სრულყოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი , შესაბამისი მუხლებით გაწეროს თნამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები, აქტივობები, წარმატებული ადაპტაციის ნიშნები.*

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

როგორც სკოლის ადმინისტარციის ინტერვიუდან დაადასტურა, ისინი მუდმივად გამოთქვამენ მზაობას წაახალისონ პეროსნალის სურვილის შემთხვევაში, მათ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

თანამშრომლებთან გასაუბრებისას დადასტურდა , რომ მათ ყოველთვის აქვთ საშუალება , პირადად შეხვდნენ დირქტორს და დააფიქსირონ ინიციატივა.

<u>სკოლას მიეცა რჩევა,,</u> *სასურველია, თუკი, სკოლა შეიმუშავებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით ინიციატივის დაყენების ფორმებს და აქტივობება ასახავს შესაბამის დოკუმენტში.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დებულება, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. კერძოდ:

- შექმნას სკოლაში ხარისხის მართვის ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებასა და მონიტორიგს, რევიზიას;
- ხელი შეუწყოს სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დანერგვას და გაუმჯობესებას;
- გარე შეფასების (ავტორიზაცია) უკუკავშირის გაანალიზების შედეგად ხელი შეუწყოს შიდა შეფასების მექანიზმების დახვეწას.

დოკუმენტი განსაზღვრავს ხარისხის მართვის შიდა და გარე მექანიზმების არსებობას. შიდა ხარისხის მართვა ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე.
დოკუმენტი აღწერს ადამიანური რესურსების შეფასების და მათი გაუმჯობესების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმებისა და მათი გაუმჯობესების, ასევე სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების და მართვის მიზნით დადგენილ ღონისძიებებს.
დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ხარისხის მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს უწევს შიდა პროცესებსა და მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთს საჭიროებებს და გეგმავს ქმედით ნაბიჯებს.

ზემოაღნიშნული დადასტურდა როგორც ხარისხის ჯგუფთან ინტერვიუდან , ასევე მათ მიერ წარმოდგენილი მონიტორინგის დოკუმენტითაც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. კერძოდ, მმართველობით პროცესად განსაზღვრულია მისიის და ღირებულებების მიხედვით სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი. ძირითად პროცესად მოიაზრება სასკოლო კურიკულუმის შემუშავება და განვითარება, ხოლო დამხამრე პროცესებად პერსონალის მართვა და განვითარება, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება, ინფრასტრუქტურის განვითარება, სასკოლო საზოგადოების ინფორმირება, ფინანსური მართვა, მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის შინაგანაწესის 21-ე მუხლი მოიცავს გასაჩივრების მექანიზმებს. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი სახელწოდებით ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა „ , რომელშიც აღწერილია განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, განხილვის ვადები, დისციპლინური სახდელის შესახებ გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესი, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და ვადები. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები შეიცავს მითითებას სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრების უფლების თაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას არ ჰქონია გადაწყვეტილების გასაჩივრების ან დირექტორის მიმართ პრეტენზიის დაფიქსირების შემთხვევა.
სკოლის მიერ შემუშავებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურა მთლიანობაში ქმნის საჩივრების განხილვის სისტემას.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი სახელწოდებით - მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, მასწავლებლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია სკოლამ უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების წევრების უსაფრთხოებისა და მათი კანონიერი უფლებების დაცვა.
გარდა ზემოაღნიშნულისა, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმებს წარმოადგენს სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია, როგორიცაა სკოლის შინაგანაწესი, გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმები, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს მოსწავლის უფლებების დაცვის დებულებებს და შესაბამისობაშია ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილ უფლებებთან.
სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და დისციპლინური გადაცდომების შესახებ ინფორმაციას, რაც წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების კანონიერი უფლებების დაცვის გარანტიებს.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- განცხადებისა და საჩივრების განხილვის წესი;
- პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის დებულება, რომელიც განსაზღვრავს მშობლის სკოლაში გამოცხადების, მასთან კომუნიკაციის, ურთიერთობის ფორმებისა და პრინციპების შესახებ საკითხებს. აღნიშნული დოკუმენტით, მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ მათი ინფორმირება ხდება:

- მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით);
- ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით;
- მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს;
- ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით;
- სოციალური ქსელის მეშვეობით, სადაც მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი.

გარდა ამისა, როგორც მშობლებთან ინტერვიუდან დადგინდა , სკოლაში ყოველი კვირის პარასკევს , დამრიგებელთან შეთანხმებით , შეუძლიათ ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

კოლეგიური ორგანოების სახით სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო და საგნობრივი კათედრები. აღნიშნულ კოლეგიური ერთეულების საქმიანობაში ჩართულები არიან სკოლის მასწავლებელები. კათედრებს წლის დასაწყისში შემუშავებული აქვთ სამოქმედო გეგმები.
მშობლებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან სასკოლო ცხოვრების შესახებ,მონაწილეუბდნენ კვლევებშიც, მჭიდრო კომუნიკაციაში არიან დამრიგებლებთან და ფლობენ ინფორმაციას სკოლის საქმიანობის შესახებ.
ასევე 2024 წელს სკოლამ რამდენიმე მიმართულებით ჩაატარა გამოკითხვა. გამოკითხვის თემები იყო ,,მოლოდინები" , სკოლის გარემოსა და სწავლების ხარისხის შეფასება, თანამშრომლობის ხარისხის შეფასება.. ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო სკოლისა და მშობლის თანამშრომლობაზე , სკოლის განვითარების სტრატეგიებზე სხვადასხავ მიმართულებით და პრიორიტეტებზე. კითხვარები თავის მხრივ საინტერესო იყო. ინტერვიუებიდან დადასტურდა, რომ სკოლა ითვალისწინებდა მშობლების აზრს და თანამშრომლობენ ჩართულები არია სასკოლო ცხოვრებაში, თუმცა ვერ წარმოადგინა გამოკითხვის შედეგების ანალიზი და დასკვნა.

სკოლას მიეცა რჩევა, კვლევის ჩატარებისას მკაფიოდ განსაზღვროს კვლევის /გამოკითხვის მიზანი , მიღებული შედეგების ანალიზი და დასკვნა წარმოადგინოს დოკუმენტის სახით.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- კათედრის ოქმები;

- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის დებულება.
- კითხვარები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი (2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების საფუძველზე), რომელშიც გაწერილია უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, პასუხისმეგებელი პირები, რეგულაციები. დოკუმენტის შესაბამისად სკოლას ჰყავს ორი დარაჯი, რომლების აკონტროლებენ დაწესებულებაში შემთვლელ/გამომსვლელ პირებს , სტუმართა მონაცემებს აღრიცხავენ ვიზიტორთა ჟურნალში. სკოლის გარე და შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია სამეთვალყურეო კამერები. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე პასუხისმეგელი პირები არიან მორიგე მასწავლებლები.
ასევე სკოლას აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (შეთანხმების წერილი 29/12/2023 MIA 0 23 03855270). ყველა სართულსა და საკოლასო ოთახში გამოკრული აქვთ საევაკუაციო გეგმა, ევაკუაციის გეგმის შესაბამისად ყველა სართულზეა განთვსებული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

სკოლას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა. როგორც დირექტორმა აღნიშნა, მათ აქვთ გაგზავნილი მიმართვა, რათა მიიღოს მომსახურება ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის სისტემებთან დაკავშირებით. სკოლის ტერიტორია შემოღობილია და დაცულია.

რაც შეეხება შენობა-ნაგებობას, დათვალიერებისას დადგინდა , რომ შენობა ნაწილობრივ რეაბილიტირებულია, კერძოდ გარემონტებულია საპირფარეშოები და სამედიცინო ოთახი, თუმცა სასწავლო სივრცეები საჭიროებს რეაბილიტაციას.
დაზიანებები შესამჩნევია პირველ სართულზე განთავსებულ სპორტულ დარბაზში. დარბაზში ჩასასვლელი კიბე დაშორებულია საყრდენ კედელს, ასევე აყრილია იატაკი , დაზიანებული კედლები და ჭერი.
სკოლამ წარმოადგინა 16.11. 2023 წ-ს მიღებული სსიპ ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული შენობის მდგრადობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნა, რომლის შესწავლითაც დადასტურდა, რომ დიდი თონეთის საჯარო სკოლის სასწავლო კორპუსისა და სპორტული დარბაზის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, სოლო ცალკეული ზონები საფრთხის შემცველი.
სკოლის დირექტორმა შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციისთვის საჭირო ბიუჯეტის გამოსაყოფის მოთხოვნით წერილით (MES 1 25 0001688574 27.11.25წ.) მიმართა ადგილობრივ მუნიციპალიტეტს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა ვერ უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა რომელშიც ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრის ბოლო ვადად მითითებული აქვს 2027 წლის 19 დეკემბერი. სკოლამ წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოს მიერ გაცემული სახანძრო -საგანგაშო სეგნალიზაციისა და ევაკუაციის პროექტები, ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან გაგზავნილი წერილი (MES 6 24 0000846250, 11.07.24წ.) სახანძრო

უსაფრთხოების მონიტორინგის დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისათვის საჭირო ბიუჯეტის გამოყოფის თაობაზე, ასევე ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი. რაც ცხადყოფს, რომ სკოლამ ნამდვილად მიიღო ზომები და შეასრულა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების სამსახურის მიერ დაკისრებული ვალდებულებები. თუმცა, გამომდინარე იქიდან , რომ შენობის ერთი ფლიგელი ამორტიზებულია, მათ ვერ მიიღეს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.

შესაბამისად 3.4.1.1 ინდიკატორი რჩება ხარვეზში.

ხარვეზი :

სკოლის შენობის ერთი ფლიგელი დაზიანებულია. კერძოდ, საფრთხის შემცვალია შენობის პირველ სართულზე განთავსებული სპორტული დარბაზი. დაბზარულია კედლები და ჭერი, აყრილია იატაკი . შენობა-ნაგებობაში სასწავლო პროცესის საფრთხის შემცველობა დასტურდება ლ.სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის მიერ გაცემული დასკვნითაც. ასევე სკოლას არ აქვს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დაკვნა.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისადაა აღჭურვილი, დასაქმებულია ერთი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექთანი. ვიზიტისას დაგამოწმებული იქნა მედიკამენტებია ვადები, ასევე მომართვიანობის ჟურნალები. მოსწავლეებთან და ექთანთან ინტერვიუებიდან დადგინდა , რომ ექთანი მოქმედებს სკოლის მიერ დადგენილი მექნიზმებისა და ნორმატივების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლას არ ჰყავს მანდატური ,თუმცა საზოგადოებრივიუ წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ მორიგე მასწავლებლები. ასევე , სკოლას აქვს 10 სამეთვალყურეო კამერა, 4 გარე დამონტაჟებულია გარე პერიმეტრზე, ხოლო 6 შედა პერიმეტრზე. შესაბამისად

კონტროლდება სკოლის მთლიანი ტერიტორია. სკოლის ტერიტორიაზე გამოკრულია 112-ის ნომერი, თუმცა სკოლას არ ჰყავს განსაზღვრული საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირები, უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირები და შესაბამისად არ არის თვალსაჩინო ადგილას განთავსებული მათი ტელეფონის ნომრები და ვინაობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლა მცირეკონტინგენტიანია. ვიზიტის პერიოდში ირიცხებოდა სულ 38 მოსწავლე, ამიტომ შექმნილია ძალიან თბილი უსაფრთხო გარემო. მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ მოსწავლეები ყოველთვის გრძნობენ მასწავლებელთა მხარდაჭერას და საჭიროების შემთხვევაში ეხმარებიან პრობლემების გადაჭრაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენული ნორმების დაცვის წესი და მექანიზმები. სკოლაში დასაქმებულია ორი დამლაგებელი . მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში არის წყლის მიწოდების პრობლემა, სკოლა აქვს = რეზერვუარები და უზრუნველყოფს წტლის უწყვეტად მოწოდებას. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში დაცულია ჰიგიენური ნორმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, რომელიც აღწერს პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობებს. სკოლამ ასევე, წარმოადგინა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე შესაბამისი თანხმობის ფორმები. სკოლას არ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, თუმცა მას დახმარებას უწევს რესურცენტრის მიერ მიმაგრებული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, ახორციელებს დასაქმებულ პირთა და მოსწავლეთა ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე. სკოლაში გამოიყენება მხოლოდ ლიცენზირებული პროგრამები, სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდზე. განსაზღვრულია ვებგვერდზე პასუხისმგებელი პირი. ხოლო საარქივო მასალები ინახება ცალკე გამოყოფილ სივრცეში. მოსავლეთა და პერსონალის პირადი საქმეები ინახება საქმისმწარმოებელთან, დაცულ ოთახში. კომპიუტერები, რომლებშიც მუშავდება კონფიდენციალური ინფორმაცია დაცულია პაროლებით, პროგრამული განახლების სისტემებით. თითოეულ ელექტრონულ პლატფორმას (E-school, E-flow), რომელსაც სკოლა იყენებს, აქვს ინდივიდუალური მომხმარებლის სახელი და პაროლი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასების მიზნით,სკოლის დირექტორი წარუდგენს ანგარიშს მრჩევლეთა საბჭოს, ხოლო საბჭო იძლევა სხვადასხვა ტიპის რეკომენდაციებს, რომელიც დაწესებულებას ეხმარება არსებული უსაფრთხოების პროცესების პერიოდულ თვითშეფასებაში. გარდაზემოაღნიშნულისა დაწესებულების დირექტორის განმარტებით, სკოლა იყენებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მეთოდს , რითაც ადგენს და აფასებს დაწესებულებაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების ეფექტიანობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;

- ლ, სამხარაულის სახ. სასამართლოს ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის ტექნიკურ უსაფრთხოებაზე;
- წერილი მუნიციპალიტეტის მერის სახელზე.
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;
- პირველადი სამედიცინო დახმარების წესი;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლას პირველადი სარგებლობის წესით გადაცემული აქვს 20855,00 კვმ მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით, რომლის საერთო ფართი არის 1246 კვ.მ.

სკოლის შენობა სამსართულიანი და სარემონტოა. დირექტორმა ექსპერტებთან აღნიშნა, რომ 2013 წელს შეიცვალა სახურავი და კარ-ფანჯარა, ხოლო სველი წერტილები რეაბილიტირებული იქნა 2019 წელს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. სკოლაში არ არის ცენტრელური გათბობა, შენობა თბება შეშის ღუმელებით.

პირველ სართულზე განთავსებულია:

1 ბიბლიოთეკა, სათავსო ოთახით, რომელშიც ინახება ჩამოსაწერი წიგნები. სკოლის წიგნადი ფონდი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით,მინიჭებული აქვს ნომერი, პირველ და მე-17 გვერდებზე არტყია ბეჭედი. წიგნებს მინიჭებული არ აქვს კლასიფიკიცია. ბიბლიოთეკარათან ინერვიუირებისას დადგინდა, რომ არ აქვს ელექტრონული კატალოგი.

2. სამედიცინო კაბინეტი, რომელიც რეაბილიტირებული და აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით.
3. სპორტული დარბაზი, რომელიც დაზიანებული და სარეაბილიტაციოა.
4. სამასწავლებლო.

მეორე სართულზე განთავსებული საკლასო ოთახები და პატარა სააქტო დარბაზი. დარბაზში განთავსებულია ჩოგბურთის მაგიდა და სხვა სპორტული ინვენტარი. როგორც დირექტორმა აღნიშნა , რადგან სპორტული დარბაზი არ არის უსაფრთხო, სპორტის გაკვეთილები უტარდებათ ზემოაღნიშნულ სივრცეში.

მესამე სართულზე არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ლაბორატორიაში არ არის კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი, თუმცა აქვთ მულიაჟები და თემატური თავლსაჩინოებები. ამავე სართულზეა კომპიუტერული ლაბორატორია. ლაბორატორიაში მიეწოდება საკაბელო ინტერნეტის სამი ხაზი, რაც ართულებს ტექნოლოგიების გაკვეთილების მოთხოვნების შესაბამისად წარმართვას. რადგან სკოლის სხვა სივრცეებში შეფერხებით მიეწოდება უკაბელო ინტერნეტი (WIFI), დირექცია/ადმინისტრაციის სამუშაო კომპიუტერიც ამავე ლაბორატორიაშია განთავსებული. სკოლას შეძენილი აქვს 20 ახალი კომპიუტერი, აქვს 2 პრინტერი.

დათვალიერებისას დადგინდა, რომ ყველა საკლას ოთახი აღჭირვილია საჭრო ინვენტარით(მერხებითა , სკამებით, დაფებით, მასწავლებლის სკამითა და მაგიდით.)

სკოლაში ამ მომენტისათვის არ ფუქციონირებს ბუფეტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სასკოლო საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები, სკოლის ბიბლიოთეკა, ეზო, ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სკოლის ეზო წარმოადგენს სივრცეს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სპორტული აქტივობებისთვის, სხვადასხვა ღონისძიებებისა და შესვენების პროცესისთვის. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა სხვადსხვა ღონისძიებების ჩატარებისას გამოიყენონ პროექტორი, ლეპტოპები. სკოლის ბიბლიოთეკის დებულებით უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობა როგორც სკოლის პერსონალისთვის, ასევე მოსწავლისა და მშობლისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს საბიბლიოთეკო სივრცე, სადაც განთავსებულია წიგნადი ფონდი. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომლის ფუნქციებშიც შედის საბიბლიოთეკო ფონდების რაციონალურად ფორმირება და ორგანიზება, მათი დაცვა, აღრიცხვა, დამუშავება, საცნობარო-საძიებო საშუალებების შექმნა და მათი გამოყენების ორგანიზება საბიბლიოთეკო დარგში მოქმედი წესების დაცვით, ფონდის კატალოგიზაცია - კლასიფიკაცია (ბიბლიოთეკაში არსებული წინგების აღრიცხვა და კატალოგების შექმნა), წიგნადი ფონდის მოწესრიგება, მოსწავლეებისთვის დამატებითი საკითხავი ლიტერატურის შერჩევაში და წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების შეძენაში დახმარება და სხვა.

სკოლას შემუშავებული არ აქვს დადგენილი საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებობის წესები. საბიბლიოთეკო რესურსების გადამოწმებით დადგინდა, რომ წიგნები რეგისტრაციაში გატარებული, მოსწავლეების მიერ წიგნის გატანის შემთხვევაში ივსება მკითხველის ბარათი. საკითხავი ლიტერატურა აღრიცხული და დამუშავებულია . ბიბლიოთეკას არ ჰქონდა ლობტოპი, შესაბამისად, მოსწავლეებს შესაძლებლობა არ აქვთ , საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლონ ციფრული ბიბლიოთეკით.

ბიბლიოთეკართან გასაუბრებით დადგინდა, რომ მას არ აქვს შექმნილი ელექტრონული კატალოგი. ვიზიტის დროისთვის არ ჰქონდა ზუსტი მონაცემი , თუ რა ოდენობის წიგნი ჰქონდათ ბიბლიოთეკაში. რაც შეეხება მის ჩართულობას არაფორმალური განათლების მიმართულებით, იგი თანამშრომლობს პედაგოგებთან და სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას ეხმარება ლიტერატურის შერჩევაში, ასევე უზიარებს თავის აზრს წიგნების შენაარსთან დაკავშირებით, აცნობს თანამედროვე ავტორებს.

სკოლამ ვიზიტის ფარგლებში გაითვალისწინა წარმოდგინა მხატვრული ლიტერატურის შესყიდვისა და ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სკოლამ გადმოაგზავნა შესაბამისობის გეგმა. რომლის მიხედვითაც ზემოაღნიშნული პრობელმა გადაჭრილია . დანართის სახით წარმოადგინა მტკიცებულებები , კერძოდ, საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებლობის წესი, ასევე ფოტომტკიცებულება ,რომელზეც ასახულია ბიბლიოთეკისთის გამოყოფილი პრინტერი და ლეპტოპი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია მეტწილად

7. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის ინკლუზიურ გარემოს. შენობაში არ არის პანდუსები (არ არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის), შესაბამისად, ეტლით მოსარგებლე მოსწავლე(ყოლის შემთხვევაში) ან პირი ვერ შეძლებენ სკოლის შიგნით გადაადგილებას.

სკოლამ წარმოადაგინა, ჯერ კიდევ ავტორიზაციის ექსპერტთა წინა ვიზიტისას სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან გაგზავნილი წერილი , რითაც ის პანდუსის მოწყობის საკითხით მიმართავს სააგენტოს, თუმცა ამ დრომდე ვერ მოხერხდა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

სკოლას ასევე არ აქვს რესურს ოთახი, თუმცა სსსმ მოსწავლის ყოლის შემთხვევაში, ინფრასტრუქტურა იძლევა საშუალებას მოეწყოს რესურს ოთახი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც პანდუსების დამონტაჟებისა და რესურს ოთახის მოსაწყობად განსაზღვრული აქვს ვადა 2027 წლის 19 დეკემბრამდე.

დანართების სახით სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება, კერძოდ, წერილები:

- **წერილი(01.12.2025წ. , MES 6 25 0001702563) რესურსცენტრში სამინისტროსთან შუამგდომლობის თხოვნით;**
- **წერილი(01.12.2025წ. , MES 0 25 0001710171) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის სახელზე,შენობა -ნაგებობის ექსპლუატაციის დასცკვნის საფუძველზე ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ.**
- **წერილი(09.09.2024წ. , MES 7 24 0001081970) რესურსცენტრში ექსპერტების მიერ გაცემული რაცომენდაციების შესასრულებლად თანადგომის საჭიროების შესახებ;**
- **წერილი(01.12.2025წ. , MES 0 25 0001710171) თეთრიწყაროს რაიონის მონისიპალიტეტის მერის სახელზე, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის დასცკვნის საფუძველზე ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ.**

გამომდინარე იქიდან , რომ წარმოდგენილი წერილების შინაარსი ძირითდად ეხება შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციას, მათ შინაარსში არ იკითხება მოთხოვნა ადაპტირებული გარემოს შექმნის შესახებ, ინდიკატორი 3.5.1.7 რჩება ხარვეზში.

ხარვეზი : სკოლას არ აქვს შენობაში შესასვლელი და შიდასივრცეებში გადასაადგილებელი პანდუსები, არ არის ადაპტირებული ეტლით მოსარგებლე პირებისთვის. ასევე არ აქვს რესურს ოთახი.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

8. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლას აქვს შიდა დახურული ეზო, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადსხვა სოციო-კულტურული და არაფორმალური აქტივობებისთვის . სასკოლო საზოგადოებასთნა ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლა ახორციელებს პროექტებს ეზოს კეთილმოწყობისდ აგამზვანების მიზნით. შარშან განახორციელეს პროექტი ,,ტყე შევუნახოთ შვილებსა“ და პროექტის ფარგლებში დარგეს მარადმწვანე ნიწვოვანი კულტურები.
სკოლას აქვს დარბაზი, ბიბლიოთეკა და აღნიშნული სივრცეები, თავისუფალ დროს დამატებით გამოიყენება სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისა თუ ღონისძიებების ჩატარებისათვის. უკვე განხორციელებული პროექტებიდან დაასახელეს ,, ვინ? სად? როდის?“
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის ინფრასტრუქტურა;
- სკოლის სართულების გეგმა.
- ბიბლიოთეკით სარგებლობი წესი;
- შესყიდვების დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის შენობის მესამე სართულზე განთავსებულ კომპიუტერულ ლაბურატორიაში განთავსებულია კომპიტერი , რომელიც გამოიყენება საქმისმწარმოებლისა და დირექტორის მიერ ადმინისტრაციული პროცესების სრულფასოვნად წარმართვისათვის. ასევე სკოლის სამასწავლებლოში არის ორი ლეპტოპი და პირნტერი, რომელსაც პედაგოგები იყენებენ რესურსების

მოსამზადებლად. სკოლა ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურას იყენებს Eschool-ის ბაზაში საქმიანობის განხორციელებისას, ელექტრონული ფოსტით სარგებლობისას, ელექტრონული ჟურნალის წარმოებისას.

სკოლაში არის უსადენო ინტერნეტი, თუმცა მოეწოდება შეფერხებით და ძალიან ნელი სიჩქარით. დირექტორმა აღნიშნა , რომ დამონტაჟდა რამდენიმე გამაძლიერებელი , თუმცა ინტერნეტის ხარისხიანად მოწოდება ისევ ვერ ხერხდება.

სკოლა ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურას იყენებს Eschool-ის ბაზაში საქმიანობის განხორციელებისას, ელექტრონული ფოსტით სარგებლობისას, ელექტრონული ჟურნალის წარმოებისას. თუმცა საგაკვეთილო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისათვის, ტექნოლოგიების გამოყენება ვერ დადასტურდა.

პრობლემის გადასაჭრელად სკოლამ დამატებით შეიძინა ინტერნეტის (WIFI) გამაძლიერებლები , რომლებიც უმოკლეს დროში უნდა დაამონტაჟონ.

ინდიკატორის მოთხოვნა ადაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შიდა წესები, აღნიშნული გათვაისწინებულია, როგორც მატერიალური რესურსებით, ასევე, ლაბორატორიით სარგებლობის წესებში. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი სკოლის ვებ. გვერდის ადმინისტრირებაზე. მოსწავლეებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა დადგენილი წესის თანახმად ისარგებლონ ინფორმაციული ტექნოლოგიებით.

ინდიკატორის მოთხოვნა ადაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების შიდა წესი, რომელიც ადგენს სკოლის საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, სკოლაში შემოსულ დოკუმენტებზე, განცხადებებსა და წერილებზე მუშაობის წესებს. დოკუმენტი განსაზღვრავს შემოსული დოკუმენტაციის მიღებისა და დამუშავების წესებს, გასული დოკუმენტაციის წარმოების წესებს, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების და სხვა დოკუმენტების გაფორმების წესებს. საქმისწარმოების წესის შესაბამისად დოკუმენტების აღრიცხვა მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით,

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა საქმიანობის პროცესში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს როგორიცაა eschool.emis.ge-ს სისტემა, ელექტრონული ფოსტა, ორისის ბუღალტრული პროგრამა. პირველკლასელთა რეგისტრაციას სკოლას ახორციელებს ბმულზე - registration.emis.ge, საკომუნიკაციოთ იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. ასევე, სკოლა საქმისწარმოების პროცესში იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლას გააჩნია პროფილი, რომელშიც შეყვანილია ინფორმაცია სკოლის შესახებ, პერსონალის, მოსწავლეებისა მშობლების შესახებ. შეყვანილია არჩეული სახელმძღვანელოების შესახებ ინფორმაცია და მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს თეთრიწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს სსიპ-ებთან,, ადგილობრივ თვითმმართველობასთან (მუნიციპალიტეტის მერიასთან). სკოლა ასევე წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას შემოსავლების სამსახურში. საჭიროების შემთხვევაში კომუნიკაციას ამყარებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და სხვა უწყებებთან.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- სკოლის ელექტრონული ფოსტა;
- სკოლის პროფილი eschool.emis.ge-ზე;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

მშობლებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სკოლა/ დამრიგებლები მშობლების ინფორმირებას ახორციელებს სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების მეშვეობით, ასევე ზეპირსიტყვიერად, სკოლაში ვიზიტისას და სატელეფონო კავშირის საშუალებით. მშობლებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ აქტიურ კომუნიკაციაში იმყოფებიან როგორც სკოლის ადმინისტარციასთან, ასევე კლასის დამრიგებელთან.

სკოლის საკომუნიკაციო ფუნქციას ასევე ასრულებს ელექტრონული ჟურნალი.

სკოლის ვებ-გვერდზე https://skolebi.emis.ge/schools/2152?schoolName განთავსებულია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის საქმისმწარმოებელი, მასზე დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე, პასუხისმგებელია სკოლის შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებასა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე.

დგინდება, რომ სკოლის ვებ-გვერდითა და სოციალურ ქსელ fb-ის სკოლის საშუალებით ხდება განხორციელებული აქტივობებისა და საგანმანათლებლო სივრცეში არსებული სიახლეების შესახებ დაინტერესებულ პირთა ინფორმირება.

ასევე სკოლის შენობაში არსებულ საინფორმაციო დაფაზე განთავსებულია შიდაპორცესების მაგერულირებელი დოკუმენტები(შინაგანაწესი, სასწავლო გეგმა, მასწავლებლის ეთიკის კოდექსი) . აღნიშნული ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებების, პროექტების, შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით. სკოლას სრულიად აქვს გააზრებული პასუხისმგებლობა მისი საქმიანობის შესახებ უტყუარი ინფორმაციის გავრცელებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა ინფორმაციის შესაგროვებლად იყენებს არსებულ საკომუნიკაციო არხებს: ვებგვერდს, სოციალურ ქსელს, სკოლის კანცელარიას, ელექტრონული ჟურნალსსკო... ასევე ატარებს კვლევებს . სკოლამ წარმოადგინა კვლევის კითხვარები, რომლებიც

მიზნად ისახავს მშობელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა მოლოდინებისა და მათი ჩართულობის ინიციატივების შეგროვებას . მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუთი დადასტურდა, რომ მონაწილეობადს იღებდნენ კვლევაში და სკოლა ყოველთვის უსმენს მათ, იღებს და ითვალისწინებს რჩევებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე. სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/2152?schoolName , რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, კერძოდ, სწავლების განხორციელების ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, შიანგანაწესი, სკოლის სტრუქტურა, ჩარიცხვის პროცედურები, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა , სტრატეგიული გეგმა , განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა, გასაინრების მექანიზმები. ბიუჯეტი და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

..
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ-გვერდი
- სოციალური ქსელი;
- ელექტრონული ჟურნალი.

შეფასება:
◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი

სტანდარტული ვაუჩერი. სკოლას ერიცხება მასწავლებელთა სტატუსის დანამატი, უფლებამოსილი პირის სარგო. ამ რესურსით სკოლა იხდის პერსონალის ხელფასს, კომუნალურ გადასახადებს და იძენს სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსებს , რითაც ქმნის პირობებს სასწავლო პროცესების წარმართვისათვის. ამ ეტაპზე სკოლა ფინანსურად მდგრადია.
დეფიციტის შექმნის შემთხვავში, მიმართავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დეფიციტის შევსების მოთხოვნით.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ბიუჯეტის განკარგვს სკოლის დირექტორი . ფინანსური ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება და შესრულების ანგარიში წარედგინება ფინანსურ სამსახურს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიუჯეტი;
- ფინანსური ანგარიშგება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს არაერთი შიდა რეგულაცია (მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი,სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის, ჩარიცხვა-ამორიცხვი, სტატუსის შეჩერება-აღდგენის წესები, გასაჩივრების მექანიზმები, შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა და სხვა), რომლებიც ემსახურება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას. სკოლის მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული დებულებები გაწერილია მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მოსწავლის წახალისების ფორმებს და გამოყენების წესს, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისმგებლობის სახეებს, დისციპლინური წარმოების წესს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ,მოსწავლეებთან ინტერვიუ და განხორციელებული აქტივობები ადასტურებს, რომ დაწესებულების პერსონალი მუშაობს მოსწავლეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სასკოლო რეგულაციები, რომლებიც ემსახურება მოსწავლეთა უფლებების რეალიზებას,გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის, კერძოდ, რეგულაციების ნაწილი განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე, ნაწილი ასევე სკოლის საინფორმაციო დაფაზე და
ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირთათვის. აღნიშნული რეგულაციების განიხილვა ხდება მშობელთა კრებებზეც და პედაგოგიურ საბჭოზე. რეგულაციები არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ პრაქტიკულად არის გაზიარებული.მოსწავლეებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მათ იციან თავიანთი უფლებების შესახებ, რასაც აცნობს დამრიგებელი სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში. .ასევე, იციან საჭიროების შემთხვევაში ვის უნდა მიმართონ და მოიძინონ ინფორმაცია თავიანთი უფლებების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლამ წარმოადგინა სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებელი ხელშეკრულები, საგანმანათლებლო მომსახურების თაობაზე, რომელშიც გაწერილია როგორც დაწესებულების, ასევე მოსწავლის/მშობლის ვალდებულებები და უფლებები. ხელშეკრულებები შეესაბამება კანონმდებლობას, არის მარტივი და გასაგები ენით ფორმულირებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შინაგანაწესი
- მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი
- მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი
- მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

- მშობელთა კრების ოქმები;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- სკოლის საინფორმაციო დაფა.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას, მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების გათვალისწინებით, დამტკიცებული აქვს შიდა დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების პროცესს. ეს რეგულაცია დეტალურად აღწერს პირველ კლასში რეგისტრაციისა და ჩარიცხვის წესს, მობილობის პროცესს, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე ჩარიცხვის პირობებს, ასევე ჩარიცხვისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის მოთხოვნებს, კლასის დაძლევის პირობებს. პროცედურები თანხვედრილია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ბრძანებებთან №40/ნ და №35/ნ. დაწესებულია მკაფიო ვადები და პასუხისმგებელი პირები. რეგულაციები სრულად არის კანონთან შესაბამისობაში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

დოკუმენტაციისა და პრაქტიკის შესწავლით, ინტერვიუებით დადასტურდა, რომ ყველა სტატუსის ცვლილება, მობილობა და ამორიცხვა ხდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა აღნიშნულ პროცესებს სრულად აწარმოებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ვიზიტისას შესწავლილ იქნა მოსწავლეთა პირადი საქმეები, ასევე ექსპერტებმა დაათვალიერეს მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილი, შეისწავლეს მოსწავლეთა (შერჩევითი პრინციპით)

ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები, სკოლის მიერ გამოცემული შესაბამისი ბრძანებები, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ სკოლა იცავს და კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებით ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლას არ აქვს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. სკოლის შინაგანაწესი და პროგრამების შინაარსი ხელმისაწვდომია ოფიციალურ არხებზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის შიდა და გარე კომუნიკაცია ეფუძნება გამჭვირვალობას და თანასწორობის პრინციპს .კომუნიკაცია ხორციელდება როგორც შიდა ჯგუფებში (სოციალური ქსელი, შეხვედრები), ისე მშობლებისთვის ხელმისაწვდომ ფორმატებში.

სკოლის დირექტორი და ადმინისტრაცია აქტიურად აწვდიან განახლებულ ინფორმაციას პერსონალს და საზოგადოებას განათლების სიახლეებისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ.ასევე,დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია,წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების, ღონისძიებების და სასკოლო ექსკურსიების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა პირადი საქმეები;
- ჩარიცხვის, ამორიცხვის, საფეხურის დაძლევის, კლასის დაძლევის ბრძანებები;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- სკოლის სოციალური ქსელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის ,,მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესის'' საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლას აქვს ჩამოყალიბებული და დოკუმენტურად განსაზღვრული მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლის სწრაფ და ჰარმონიულ ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში. სკოლა ხელს უწყობს ყველა მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესს, იქნება ეს პირველკლასელების მიღების,სხვა სკოლიდან გადმოსული ახალი მოსწავლის შემთხვევა თუ კონკრეტულ კლასებში სწავლისას გამოვლენილი ადაპტაციის პრობლემა. რეგულაციებში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეების გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმებიც.ადაპტაციის პროცესთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისათვის, წარმოდგენილ დოკუმენტში სკოლას განსაზღვრული აქვს დეზადაპტაციის ნიშნები და განსახორციელებელი აქტივობები. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და მოსწავლეებთან ინტერვიუს(რომელთა შორის იყო ახლად გადმოსული მოსწავლეც) საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის პრაქტიკა ადასტურებს, რომ ადაპტაციის პროცესი იწყება სასწავლო წლის პირველივე დღეებიდან. სკოლა ახორციელებს გარკვეულ აქტივობებს - ერთობლივი თამაშები, კლასის წესების შეთანხმება, , არაფორმალური შეხვედრები. მასწავლებელთა გუნდმა აღნიშნა, რომ ეს მიდგომა მნიშვნელოვნად ამცირებს ემოციურ სტრესს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის პროდუქტიულ დაწყებას.მოსწავლეები არიან კონტაქტურები, პოზიტიურები, აქტიურები, კომუნიკაბელურები. ჩვენი ვიზიტის პერიოდში იგრძნობოდა მათი სასკოლო კულტურა და კეთილგანწყობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის კონსულტაციებს საჭიროების შემთხვევაში. სკოლას აქვს ექსტერნატის ფორმატით გამოცდების ჩატარების პრაქტიკა, რა დროსაც გამოცდების წინ მოსწავლეებთან ხორციელდება საკონსულტაციო მუშაობა. დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობს სემესტრული ნიშნის ამაღლების გამოცდას,თუმცა მოსწავლეებმა ინტერვიუს დროს დააფიქსირეს, რომ მათ არ უსარგებლიათ ამ შესაძლებლობით. იქიდან გამომდინარე ,რომ სკოლა მცირე კონტიგენტიანია (კლასში შეიძლება იყოს სამი მოსწავლე) , მასწავლებლები თითქმის ინდივიდუალურად მუშაობენ ბავშვებთან აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად ,ეს დაადასტურეს ინტერვიუს დროს როგორც მოსწავლეებმა ,ისე მშობლებმა .სკოლამ წარმოადგინა ასევე მოსწავლეთა მხარდაჭერის გეგმა ,რომელშიც გაწერილია ეროვნული ოლიმპიადისთვის მოსწავლეებისთვის დამატებითი მეცადინეობის განრიგი და თემატიკა .**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .**

---

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს / მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, ისე, რომ არ დაირღვეს მისი უფლებები. დროულად ხდება მშობლის ინფორმირება ნებისიერი ადმინისტრაციული წარმოებისას, რომ ვადები არ დაირღვეს და ხელი არ შეეშალოს მოსწავლის უფლებების რეალიზებას. მშობლები ინფორმირებულები არიან მობილობის ვადების, სემესტრული გამოცდის ვადების და ექსტერნის გამოცდების შესახებ. ასევე,მშობლების დროული ინფორმირება ხდება სკოლაში განსახორციელებული აქტივობების, ღონისძიებების და კონკურსების შესახებ. დროულად რეაგირებს სკოლა მშობლის მომართვასა და განცხადებებზე.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.მასწავლებელთა და მშობელთა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ადმინისტრაციული მხარდაჭერა სწრაფი და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის ერთ-ერთი სტარტეგიული მიზანია მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, შესაბამისად, მნიშვნელოვანია სკოლამ კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისება და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა. სკოლის ცხოვრების ნაწილია სხვადასხვა ხასიათის საკლასო და სასკოლო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება, რაც ინიცირებულია როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეების მიერ. მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს. კერძოდ: მათი თხოვნით ჩატარდა სკოლაში ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? ,რომელიც განხორციელდა სკოლის კვალიფიციური პედაგოგების ჩართულობით . ასევე მოსწავლეების ინიციატივით ,ადმინისტრაციის მხარდაჭერითა და მასწავლებელთა ჩართულობით განხორციელდა პროექტი,,ტყე შევუნახოთ შვილებსა '' , რომლის ფარგლებშიც ადმინისტრაციამ შეიძინა ნერგები და გაალამაზეს სკოლის ეზო.მოსწავლეებს დაწყებული აქვთ პროექტი ,,მწვანე სკოლა '' . აღნიშნული აქტივობა გულისხმობს თავად ბავშვების მიერ, მშობელთა ჩართულობით კაკლის ნერგების გამოყვანას ,და სკოლის ტერიტორიის გამწვანებისა და გალამაზების დასრულებას. ეს პროცესი როგოც მათ აღნიშნეს ,გაზაფხულზე დასრულდება .

.

რჩევა: მნიშვნელოვანია სკოლას მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი ჰქონდეს, თუ როგორ, რა მექანიზმებით უზრუნველყოფს სკოლა დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებას და მოსწავლეთა იტერესების მხარდაჭერას. მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა იცოდნენ, თუ როგორ, როდის და ვის უნდა მიმართონ საკუთარი ინიციატივების მხარდასაჭერად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა გამოთქვამს მზაობას ყველა დაინტერებული პირისგან მიიღოს უკუკავშირი და მოახდინოს მასზე რეაგირება, შესაბამისად ახორციელებს პერიოდულ გამოკითხვებს, როგორც მოსწავლეების ასევე მშობელთა მხრიდან მათი კმაყოფილებისა და დამატებითი საჭიროებებისა თუ სურვილების შესახებ. სკოლამ წარმოადგინა მშობლებისა და სკოლის მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები, რომლის უკუკავშირისა და ანალიზის შედეგად, სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებასა და სასწავლო პროცესში მოსწავლეთა და მშობელთა მხარდაჭერის მექანიზმებს.**ინიკატორის დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების წესი
- შინაგანაწესი
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი
- ინტერვიუს ჩანაწერები პედაგოგებთან და მოსწავლეებთან
- ფოტომასალა არაფორმალური აქტივობებიდან
- კითხვარები
- დირექტორის ბრძანებები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სკოლაში განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობები.კერძოდ, სკოლამ დააორგანიზა საშუალო საფეხურის მოსწავლეების ვიზიტები სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯებში "მერმისი'' და "მოდუსი''.მშობლებმა აღნიშნეს,ამ ვიზიტებმა მათი უფროსი შვილების პროფესიულ არჩევანში დიდი წვლილი შეიტანეს და დღეს დიდ მადლიერებას გამოთქვამდნენ სკოლისა და მისი ადმინისტრაციის მიმართ .
რჩევა : მარეგულირებელ დოკუმენტში უფრო დეტალურად გაწეროს ის აქტივობები და მექანიზმები, რომლებითაც უზრუნველყოფს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურებას. სასურველია დაიგეგმოს უფრო მრავალფეროვანი აქტივობები ამ მიმართულებით (მაგ: თემში ცნობილ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან შეხვედრა და ა.შ.)
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ სკოლის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზეც და დოკუმენტბრუნვის სისტემაში სკოლას შემოსდის ინფორმაცია, სიახლეები საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ღია კარის დღეების ჩატარების შესახებ, სადაც სთავაზობენ რამდენიმე დღიან კონკრეტულ პროგრამებზე ლექციებზე დასწრებას.
მიღებულ ინფორმაციას დირექცია აწვდის შესაბამისი კლასის დამრიგებელს, რომლებიც, თავის მხრივ, აცნობენ სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებსა და მშობლებს, ძირითადად სოციალური ქსელების დახმარებით. სკოლის მიერ განხორციელებული

აქტივობები ასევე ადასტურებს, რომ სკოლა აწვდის მოსწავლეებს/მშობლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას კარიერული განვითარების საკითხებზე.
ინიკატორის დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა იაზრებს წინა გამოცდილებასა და სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის მნიშვნელობას ,თუმცა ამ ეტაპზე გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების გაანალიზებას და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას ახდენს ზეპირი უკუკავშირის საფუძველზე. ეს დადასტურდა ადმინისტარციასთან და მშობლებთან ინტერვიუს დროსაც.
რჩევა : სასურველია სკოლამ ჩაატაროს გამოკითხვა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით ,რომლის შედეგების ანალიზიც უზრუნველყოფს უფრო ხარისხიანი პროფესიული ორიენტაციის მომსახურების განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასწავლებლებში ვიზიტის დამადასტურებელი ფოტო მასალა
- წერილები კოლეჯების ხელმძღვანელობასთან ვიზიტის შესახებ
- მოწსავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუები
- სკოლის ვებ-გვერდი
- დასტურდება (მტკიცებულებები):
- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლას გაცნობიერებული აქვს საჭიროების შემთხვევაში პროცესის დაგეგმვის მექანიზმები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში არ ირიცხება არც ერთი სსსმ მოსწავლე, თუმცა მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ,,მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი'', გაწერილი აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სსსმ მოსწავლის მხარდამჭერამჭერი ღონისძიებები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუ
- სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

2024-2025 სასწავლო წელს სსიპ ვაჟა-ფშაველას სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ თონეთის საჯარო სკოლას თავისი მოსწავლეებისათვის ასეთი ტიპის მომსახურება არ შეუთავაზებია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების შეთავაზება არ განხორციელებულა . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ამ ეტაპზე, ასეთი სახის მომსახურება სკოლაში არ ხორციელდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადმინისტრაციასთან ინტერვიუ

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი : 31.12.2025წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: